ა ნ გ ა რ ი შ ი

ავსტრალიაში ვიზიტის შესახებ

„საინჟინრო სამართლის“ პროექტის ფარგლებში ავსტრალიაში იმყოფებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია, ასოცირებული პროფესორი გიორგი გორაძე, ასისტენტ-პროფესორი მალხაზ ჩიტაია და პროფესორის ასისტენტი ვახტანგ ჟვანია.

ვიზიტის მიზანი იყო ავსტრალიის უნივერსიტეტებთან ურთიერთობის დამყარება, საინჟინრო სამართლის მიმართულებით მათი გამოცდილების გაცნობა და მომავალი თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიღწევა.

დელეგაცია იმყოფებოდა 3 უნივერსიტეტში. ესენია: ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტი (University of New South Wales), სიდნეის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (University of Technology Sydney) და სვინბარნის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (Swinburne University of Technology). ამათგან პირველი ორი უნივერსიტეტი განთავსებულია ქ. სიდნეიში, ახალი სამხრეთ უელსის შტატი, ხოლო მესამე - ქალაქ მელბურნში, ვიქტორიის შტატი.

სამივე ზემოაღნიშნული უნივერსიტეტი ძალიან წარმატებული და ავტორიტეტული უნივერსიტეტია.

აქ წარმოგიდგენთ დეტალურ ინფორმაცია, როგორც მათ შესახებ, ისე თითოეულ უნივერსიტეტში განხორციელებული შეხვედრების შესახებ.

ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტი - University of New South Wales

UNSW არის ძალიან ავტორიტეტული უნივერსიტეტი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საერთო მაჩვენებლით იგი 45-ე ადგილზეა მსოფლიო უნივერსიტეტებს შორის, ხოლო ავსტრალიის მასშტაბით - მესამე, თუმცა ფინანსებისა და ბუღალტერიის სწავლების კუთხით პირველ ადგილზეა ავსტრალიაში, ხოლო მეათეზე მსოფლიოში, სამართალმცოდნეობის სწავლებით მე-16 ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო მეოთხე ავსტრალიაში და ინჟინერიის მიმართულებით მეთერთმეტე ადგილზეა მსოფლიოში და პირველი ავსტრალიის მასშტაბით.

უნივერსიტეტის ძირითადი კამპუსი განთავსებულია სიდნეის გარეუბანში, კენსინგტონის დასახლებაში. უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტი განთავსებულია სხვადასხვა ავსტრალიის სხვადასხვა ქალაქში - კანბერასა და პადინგტონში.

სიდნეიში საუნივერსიტეტო კომპლექსი განთავსებულია 38 ჰექტარზე. აქ ყველა ფაკულტეტს თავისი კორპუსი აქვს. კომპლექსი ასევე მოიცავს რამდენიმე ღია და დახურულ კაფეს, ბიბლიოთეკებს, საერთო საცხოვრებელს და სხვა. უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობა ოცდახუთ ათასს აჭარბებს.

პირველი შეხვედრა სწორედ აღნიშნულ უნივერსიტეტში გვქონდა, რომელსაც 23 აპრილს. მასპინძელი უნივერსიტეტის მხრიდან შეხვედრას უძღვებოდა სამართლის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის თანადირექტორი, პროფესორი ლუკას ლიქსინსკი.

ბატონ ლისინსკისთან შეხვედრაზე გავეცანით მასპინძელი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე არსებულ მდგომარეობას, სადაც სწავლობს 2600-მდე სტუდენტი. ბუნებრივია, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიმართული იყო საინჟინრო სამართლისადმი. როგორც მასპინძელმა გვითხრა, საინჟინრო სამართლის კურსი მოიცავს 6 წელიწადს. კურსდამთავრებულებს მიეცემათ 2 განსხვავებული დიპლომი და კვალიფიკაცია: ერთი - იურისტის და მეორე - ინჟინრის. აღსანიშნავია, რომ ამ კურსდამთავრებულ სტუდენტს შეუძლია იურისტის ნებისმიერ პოზიციაზე იმუშაოს.

შეხვედრის შემდეგ მასპინძელმა დაგვათვალიერებინა იურიდიული ფაკულტეტის შენობა და ბიბლიოთეკა.

სიდნეის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი - University of Technology Sydney

სიდნეის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის განთავსებულია ქალაქ სიდნეის ცენტრში.

QS-ის ვერსიით ეს არის ხუთვარსკვლავიანი უნივერსიტეტი და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს შორის საერთო რეიტინგით არის 176-ე ადგილზე, ხოლო კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის თვალსაზრისით - 69-ე ადგილზე და ახალგაზრდა (უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში დაარსებულ) უნივერსიტეტებს შორის - მე-8 ადგილზე. უნივერსიტეტის სტუდენტთა სართო რაოდენობა ორმოცდახუთი ათასამდეა, რომელთაგან იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს 2700-მდე სტუდენტი.

აღნიშნულ უნივერსიტეტს ვეწვიეთ 24 აპრილს. მასპინძელ მხარეს წარმოადგენდნენ ფაკულტეტის ასოცირებული დეკანი, პროფესორი მაქსინ ივერსი და ფაკულტეტის საერთაშორისო მიმართულების დირექტორი, პროფესორი გრეის ლი.

შეხვედრა ძალიან გულთბილ გარემოში შედგა. მასპინძელი მხარე ძალიან მომზადებული დაგვხვდა. წარმოგვიდგინეს ვიდეო პრეზენტაცია ფაკულტეტის შესახებ. შემდეგ დეტალურად განვიხილეთ საინჟინრო სამართლის პროგრამის თავისებურებები, მისი სპეციფიკა.

საინჟინრო სმართალი აქ არის სამართლისა და ინჟინერინგის ფაკულტეტების ერთობლივი კურსი, რომელიც შემუშავდა იურიდიულ მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნის გამო ისეთ სფეროებში, რომლებშიც საჭიროა რთული ტექნიკური საკითხების ცოდნა. ასეთ სპეციალისტებს დიდი მოთხოვნილებაა როგორც კერძო იურიდიულ ფირმებში, ისე მანქანათმშენებლობაში.

კურსი მოიცავს სამართლის სისტემის სწავლებას და ტექნიკური საგნების სიღრმისეულ ცოდნას. შესაბამისად გაიცემა 2 დიპლომი.

კურსი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომელთაც სურთ მიიღონ უმაღლესი პროფესიული იურიდიული განათლების სრული კურსი საინჟინრო მეცნიერებების კვალიფიკაციასთან ერთად.

კურსდამთავრებულებს განუვითარდებათ კრიტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევები ინდუსტრიაზე ძლიერი აქცენტირებით, რაც აუცილებელია ინჟინერიასა და სამართალს შორის რთული კავშირების გასაგებად.

როგორც წესი, მოიცავს ხუთ წელიწადნახევარს.

მიუხედავად წარმატებულობისა, უნივერსიტეტი ფიქრობს, კიდევ მეტად დახვეწოს აღნიშნული პროგრამა და გაითვალისწინოს თანამედროვე მოთხოვნები და ტექნოლოგიური სიხალეები.

მასპინძლებმა აღვითქვეს დახმარება, როგორც პროგრამისა და სილაბუსების გაზიარების თვალსაზრისით, ისე ლიტერატურით დახმარებისა და შესაბამისი ლექტორების მოვლინებით საქართველოში შესაბამისი საჯარო ლექციებისა და ინტენსიური კურსების ჩასატარებლად. ჩვენ მასპინძლები მოვიწვიეთ საქართველოში და შევთავაზეთ მომავალში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.

სვინბარნის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტი - Swinburne University of Technology

უნივერსიტეტი განლაგებულია ქალაქ მელბურნში. უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობა ოცდაოთხი ათასს აჭარბებს, ხოლო იურიდიულ ფაკულტეტზე 1500-მდე სტუდენტი სწავლობს. უნივერსიტეტი მსოფლიოში მე-40 ადგილზეა საგნების საშუალო რეიტინგის მიხედვით.

უნივერსიტეტში კარგად არის შეხამებული თეორიული და პრაქტიკული სწავლება. კამპუსების დათვალიერებისას ჩვენ ვნახეთ უდიდესი ლაბორატორია, სადაც ხდებოდა სხვადასხვა სახის ტექნოლოგიური ტესტირებები.

აქვთ კომბინირებული პროგრამების 19 სხვადასხვა მიმართულება. მათ შორის საინჟინრო სამართალი აქ იმდენად ახალი მიმართულებაა, რომ კურსდამთავრებული ჯერ არ ჰყავთ.

განსხვავება სიდნეის უნივერსიტეტისგან ის არის, რომ სვინბარნის უნივერსიტეტში მოცემული პროგამის ხანგრძლივობა 6.5 წელია ანუ 1 წლით მეტი სიდნეის უნივერსიტეტთან შედარებით.

სვინბარნის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს ვეწვიეთ 30 აპრილს. უნივერსიტეტის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ სამართლის სკოლის დეკანი დენ ჰანტერი, საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული დირექტორი სტრუან რობერტსონი და პროფესორი ჯონათან ლილჯებლადი.

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს ვიზიტი წარიმართა უაღრესად თბილ გარემოში. დეკანმა ჰანტერმა გამოგვკითხა, თუ რა ეტაპზე ვიმყოფებით და რა არის ჩვენი საჭიროება. შემდეგ მოგვაწოდეს დეტალური ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ყველა ჩვენს შეკითხვას მასპინძლები პასუხობდნენ დიდი ენთუზიაზმით და ამომწურავად.

დეტალურად განვიხილეთ ასევე მემორანდუმის პროექტი ჩვენს ორ უნივერსიტეტს შორის. მათ კარგად ჰქონდათ შესწავლილი ჩვენი უნივერსიტეტის საიტი და კითხვებს გვისვამდნენ სწორედ საიტზე ნანახი ინფორმაციიდან გამომდინარე.

მასპინძლებმა აღგვითქვეს დახმარება ჩვენთვის საჭირო ყველა საკითხში, მათ შორის მზადყოფნა გამოთქვეს ერთობლივ კვლევებზე, ასევე საქართველოში ინტენსიური კურსების ჩატარებაზე და სხვა.

უნივერსიტეტში შეხვედრების რეზიუმე

ზემოაღნიშნული შეხვედრებიდან გაირკვა, რომ თანამედროვე ეტაპზე ძალიან დიდი დაინტერესება არის ე.წ. კომბინირებული პროგრამების მიმართ. ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს ისეთი მიმართულებები, როგორიც არის ბიზნესი და სამართალი, ხელოვნება და სამართალი, მედია და სამართალი, საინჟინრო სამართალი, რომელთა შორის კიდევ ქვესახეობებია: სამშენებლო სამართალი, სატრანსპორტო სამართალი, ბიოინჟინერია და სამართალი და სხვა.

აღნიშნული უნივერსიტეტებიდან განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ბოლო ორმა უნივერსიტეტმა, რის გამოც ვფიქრობ, რომ მათთან შესაძლებელია საკმაოდ მყარი და ნაყოფიერი ურთიერთობების დამყარება, როგორც საინჟინრო სამართლის, ისე ზოგადად სამეცნიერო კვლევებისა და უმაღლესი განათლების სხვადასხვა მიმართულებებში.

ვიზიტი შტატის სასამართლოებში

1 მაის ჩვენი დელეგაცია ეწვია ვიქტორიის შტატის უზენაეს სასამართლოს და შემდეგ სამაგისტრო სასამართლოს.

უზენაეს სასამართლოში გავეცანით ადგილობრივ სასამართლო სისტემას და სამართლის თავისებურებებს. დავათვალიერეთ ბიბლიოთეკა, სადაც ვნახეთ უნიკალური გამოცემები და კანონთა კრებულები.

ვიზიტის შეფასება

დელეგაციამ თბილი ურთიერთობები დაამყარა ცნობილ ავსტრალიურ უნივერსიტეტებთან, რის საფუძველზეც სამომავლოდ შესაძლებელია ძალიან ნაყოფიერი ურთიერთობების აღმოცენება უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დელეგაციამ წარმატებით შეასრულა დასახული ამოცანა და ამიტომ, ვფიქრობ, რომ აღნიშნული ვიზიტი უნდა შეფასდეს დადებითად.

პატივისცემით

ირაკლი გაბისონია

გიორგი გორაძე